# წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

# სხდომის ოქმი N6

24 ივნისი 2016 წელი ქ.წალკა

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე: სამსონ თამარიან.

კომისიის წევრები:

ჯემალ ბერიძე;
ხაჩატურ მაზმანიან;
სტეფან ეგოიან;
დავით მაჩიტიძე;
ანთეი ტერსენოვი;
რეზო ჩარიჩოვი;
ამირან საგინაძე;
ასატურ ვარტერესიან;
ედგარ ფურცელაძე;
სარქის ოგანესიან;

წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ამირან საყვარელიძე

სხდომა დაიწყო: 09:00 სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 09:45 სთ-ზე

დღის წესრიგი:

დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ".

*სხდომამ განიხილა:*

კომისიის თავმჯდომარემ სამსონ თამარიანმა კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს ბიუროს მიერ განსახილველად წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ", რის შემდეგაც წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯირან საყვარელიძემ კომისიის წევრებს გააცნო განსახილველი დადგენილების პროექტი. აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს: ხაჩატურ მაზმანიანმა, სტეფან ეგოიანმა, ასატურ ვარტერესიანმა ჯემალ ბერიძემ. კომისიის თავმჯდომარის შეკითხვაზე კომისიის წევრებს განსახილველ პროექტთან დაკავშირებით შეკითხვები და შენიშვნები არ გააჩნიათ. კომისიამ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა. მოწონებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და მიჩნეულ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისთვის მომზადებულად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე  სამსონ თამარიანი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2016 წლის 24 ივნისის №6 სხდომის რეგისტრაციის ფურცელი

| N | სახელი, გვარი | ფრაქცია |
|---|---|---|
| 1 | სამსონ თამარიანი | |
| 2 | ჯემალ ბერიძე | |
| 3 | ხაჩატურ მაზმანიან | |
| 4 | სტეფან ეგოიან | |
| 5 | დავით მაჩიტიძე | |
| 6 | ანთეი ტერსენოვი | |
| 7 | ალექსი მუხსიევი | |
| 8 | რეზო ნარინოვი | |
| 9 | ამირან საგინაძე | |
| 10 | ასატურ ვარტერესიან | |
| 11 | ედგარ ფურცელაძე | |
| 12 | სარქის ოგანესიან | |

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი გიგინეიშვილს

# კომისიის დასკვნა

გაცნობებთ, რომ 2016 წლის 24 ივნისს ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, სადაც განხილული იქნა:

დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ ერთხმად იქნა მოწონებული. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილ დადგენილების პროექტს კომისია აძლევს დადებით რეკომენდაციას და მიაჩნია საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისთვის მომზადებულად.

კომისიის თავმჯდომარე სამსონ თამარიან